



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის

12.03.2021 წ. # 14 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

“ ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი“

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ბაგინაშვილი; რევაზ სარაშვილი;

2021 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: - მშენებლობის წარმოება / Construction Manufacturing
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შედგა პროგრამა - 07320-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მონყობაში / Basic Vocational Qualification in Building Construction Structures
აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - კოდი 0732. აღმწერი - „შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს. სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა-ნაგებობებისა და სტრუქტურების,
4. მიზანი
პროგრამის მიზანია, მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.
5. დაშვების წინაპირობები
 - საბაზო განათლება
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები
 - „სამშენებლო კონსტრუქციების მონყობაში“ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და ღიბანერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დანესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან (მონოლითური, ანაკრები და ქვის კონსტრუქციები; გადახურვები) ან მის

რეკონსტრუქცია-გადღიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: მომწყობი; ანაკრები კონსტრუქციების (საძირკველი, სვეტი, ფილა, რიგელი, კოჭი და ა.შ.)

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 41
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7119; 7112; 7121

7. სტრუქტურა და მოდულები

- სამშენებლო კონსტრუქციების მონყობა, მოიცავს 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით
- „სამშენებლო კონსტრუქციების მონყობის“ კვალიფიკაციის კონცენტრაციაა:

ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი, რომელიც მოიცავს 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 48 კრედიტის ოდენობით,

ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის გავლის შემდეგ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის

სამშენებლო კონსტრუქციების მონყობაში მისანიჭებლად ქართულენოვანმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 71 კრედიტი; ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა - **86 კრედიტი**, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 5 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 48 კრედიტი არის კონცენტრაცია **ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის** მოდულები

მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

პროგრამის მოცულობაა:

მოდულურის შემთხვევაში

- მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 71 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 13 თვე

- მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 86 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 16 თვე
დუალური მიდგომით

- მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 71 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 18 თვე
- მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 86 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 23 თვე

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რადიკალიზაციის წიგნიერება	2
4	სამოქალაქო განათლება	2
5	მენარმეობა 1	2
6	უცხოური ენა	4
7	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში	1
2	მშენებლობის საფუძვლები	1
3	სამშენებლო ნახაზების კითხვა	3
ჯამი:		5
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - სამშენებლო კონსტრუქციების მონწყობა		
№	კონცენტრაცია - ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის მოდულები	კრედიტი
1	ყალიბების მონწყობა მშენებლობის პროცესში	8
2	საარმატურე სამუშაოები	6
3	ყალიბში ბეტონის ჩანყობა	7
4	ანაკრები კონსტრუქციების (ხის, პლასტმასის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება	6

5	ანაკრები კონსტრუქციების (რკინაბეტონის, ლითონის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება	6
6	სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება	2
7	სწორი და სპირალური კიბეების მონყობა	6
8	სწორი რკინაბეტონის კიბეების ყალიბების მონყობა	3
9	ხის მზიდი და არამზიდი კედლების მონყობა	4
ჯამი:		48

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის - ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის მიმართულებით

1. მოაწყოს ყალიბი და არმატურის ნაკეთობა (ბადეები, სივრცული და ბრტყელი კარკასები)
2. ჩააწყოს ბეტონი მომზადებულ ყალიბში
3. განახორციელოს ბეტონის ნიმუშების აღება
4. მოუაროს ბეტონს
5. აწარმოოს პლასტმასის, რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები
6. აწარმოოს ხის კონსტრუქციების (მზიდი და არამზიდი კედლები, კიბეები, ყალიბი) სამონტაჟო სამუშაოები
7. შეასრულოს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები მზიდ და არამზიდი კონსტრუქციებზე
8. განახორციელოს კონსტრუქციების თანმიმდევრული დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ კოლეჯ „ოპიზარმა“ ჩარჩო დოკუმენტის „მშენებლობის წარმოება“ საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი“, რომელიც განხორციელდება, როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომით, რომელიც არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულს.

„ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი“ პროფესიული სპეციალიზაციისთვის შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 75% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ

ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი;

პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მენარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., უესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, უარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში (დუალური, მოდულური) განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში -დუალური მიდგომით “ ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი“ პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 75 % მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში და კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 2-სასწავლო გეგმა- მოდულური

დანართი № 2/1-სასწავლო გეგმა-დუალური დანართი № 1 მოდულები:+

- დანართი 1.1 ინფორმაციული წიგნიერება 1
- დანართი 1.2 ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- დანართი 1.3 რაოდენობრივი წიგნიერება
- დანართი 1.4 სამოქალაქო განათლება
- დანართი 1.5 მეწარმეობა 1
- დანართი 1.6 უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- დანართი 1.7 გარემოსდაცვითი სამუშაოები
- დანართი 1.8 გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში
- დანართი 1.9 მშენებლობის საფუძვლები
- დანართი 1.10 სამშენებლო ნახაზების კითხვა
- დანართი 1.11 ყალიბების მოწყობა მშენებლობის პროცესში
- დანართი 1.12 საარმატურე სამუშაოები

დანართი 1.13 ყალიბში ბეტონის ჩანცობა

დანართი 1.14 ანაკრები კონსტრუქციების (ხის, პლასტმასის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება

დანართი 1.15 ანაკრები კონსტრუქციების (რკინაბეტონის, ლითონის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება

დანართი 1.16 სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება

დანართი 1.17 სწორი და სპირალური კიბეების მონცობა

დანართი 1.18 სწორი რკინაბეტონის კიბეების ყალიბების მონცობა

დანართი 1.19 ხის მზიდი და არამზიდი კედლების მონცობა

დანართი 1.20 ქართული ენა A2

პროგრამის განხორციელებისათვის პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები: შპს „არალი“ ხელშეკრულება #6; ხელშეკრულება #7 10.03.2021 ე. ახალციხე აბასთუმნის გზატკეცილი.